ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ კიღურაძე

ზოგიერთი არაწრფივი დიფუზიური სისტემის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

01.01.07 – გამოთვლითი მათემატიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თემურ ჯანგველაძე

2002

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....4

თავი I

არაწრფივი დიფუზიური სისტემის წარმოშობისა და მისი ზოგიერთი თვისების შესახებ.....24

§1. ზოგადი ამოცანის განხილვა.....24

§2. მაქსველის დიფერენციალური განტოლებების რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემამდე.....28

§3. ამონახსნის წრფივი და გლობალური მდგრადობის შესახებ.....35

თავი II

ინტეგრო-დიფერენციალური ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის გამოკვლევა.....49

§1. აღნიშვნები და დამხმარე დებულებები.....50

§2. ერთგვაროვანი პირველი სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის სტაბილიზაციის შესახებ $a(S)=b(S)$ შემთხვევისთვის.....52

§3. არაერთგვაროვანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის გამოკვლევა $a(S)=b(S)$ შემთხვევისთვის.....60

§4. პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა გასაშუალებული მოდელისთვის.....82

თავი III

ზოგიერთი დიფუზიური სისტემის მიახლოებითი ამოხსნა და რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები.....93

§1. ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული მოდელის მდგრადობა და კრებადობა.....93

§2. ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის შესაბამისი

სხვაობიანი სქემის მდგრადობა და კრებადობა.....100
§3. სხვაობიანი სქემის კრებადობა განტოლებათა ერთი დიფუზიური სისტემისთვის.....105
§4. სხვაობიანი ამოცანების რიცხვითი ამოხსნა და გრაფიკული ილუსტრაციები.....111
ლიტერატურა.....122

შესავალი

გამოყენებითი ამოცანების მათემატიკური მოდელირება, გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ამგვარ ამოცანებს მიეკუთვნება ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესები ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც არსებითად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე.

ცნობილია, რომ ამ პროცესებს თან სდევს სითბოს გამოყოფა, რაც თავის მხრივ ცვლის გარემოს გამტარიანობას და გავლენას ახდენს დიფუზიის პროცესზე. აქედან გამომდინარე, დიფუზიის ასეთი ამოცანების მათემატიკურ მოდელირებას, გამოკვლევას და რიცხვით ამოხსნას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული პროცესების, ისევე როგორც სხვა მრავალრიცხოვანი გამოყენებითი ამოცანის მოდელირებისას, ვღებულობთ არაწრფივ, კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ, ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებს და განტოლებათა სისტემებს. ამ სისტემების ძირითადი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი შეიცავენ სხვადასხვა რიგის განტოლებებს, რომლებიც ძლიერად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. აღნიშნული გარემოება ყოველი კონკრეტული სისტემისთვის განაპირობებს კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენებას, რადგან ზოგადი თეორია ამგვარი წრფივი სისტემებისთვისაც კი ჯერ კიდევ არასრულადაა განვითარებული. ბუნებრივად დგება მსგავსი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის აუცილებლობის საკითხი, რაც თავის მხრივ არანაკლები სირთულეების დაძლევასთან არის დაკავშირებული. გამოკვლევისთვის საჭირო და მოსახერხებელი ყოველი მეთოდის თავისებურება ძირითადად ვლინდება შესაბამისი

საწყის-სასაზღვრო ამოცანების და მათი დისკრეტული ანალოგებისთვის აუცილებელი აპრიორული შეფასებების მიღებასა და მათ შემდგომ გამოყენებაში.

შესასწავლი მოდელების სირთულე განაპირობებს მათი კომპლექსურად კვლევის აუცილებლობას. კერძოდ, როგორც თეორიული ასევე გამოთვლითი მათემატიკის საშუალებების ფართო გამოყენებას. იქ სადაც სრულყოფილი თეორიული გამოკვლევა ვერ ხერხდება, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რიცხვითმა ექსპერიმენტმა. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულია მათემატიკური გამოკვლევები არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი განტოლებათა დიფუზიური სისტემის ზოგიერთი კლასისთვის. ამოცანაში შემავალი ყველა პარამეტრისთვის, კერძოდ, არაწრფივობის მახასიათებლებისთვის, როგორც უწყვეტი ასევე დისკრეტული ანალოგების სრულყოფილი თეორიული შესწავლა ფაქტიურად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსგავსი სახის თეორიულ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებიც დადასტურებულია ჩატარებული მრავალი რიცხვითი გამოთვლებით. ამ შემთხვევებისთვის შემუშავებული რიცხვითი გამოთვლების ალგორითმების ეფექტურმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა რიცხვითი ექსპერიმენტები პარამეტრების სხვა მნიშვნელობებისთვისაც. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აიოლებს შესასწავლი პროცესის ფიზიკური შინაარსის გააზრებას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროცესის მათემატიკური აღწერა ხორციელდება ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებით. განტოლებები, რომლებიც საძიებელ ფუნქციებთან ერთად შეიცავენ ინტეგრალებს ამ ფუნქციებიდან და მათი წარმოებულებიდან, ფაქტიურად წარმოიშვნენ ლოკალურ კერძოწარმოებულებიან განტოლებებთან

ერთად. მიუხედავად ამისა, აღნიშნული განტოლებების გამოკვლევა დაიწყო შედარებით გვიან.

სხვადასხვა სახის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებები შეისწავლება მრავალ სამეცნიერო შრომაში [4, 8-16, 25, 31-33, 35, 37, 38, 41, 42, 51, 52, 58, 61, 62, 66, 67, 74, 76-81, 86-88, 90, 91, 93, 94, 100, 101]. დისერტაციაში განხილული ინტეგრო-დიფერენციალური მოდელები პირველად შემოთავაზებულ იქნა [8], [9] შრომებში. აღნიშნული მოდელები წარმოიშვნენ ერთის მხრივ რეალური დიფუზიური პროცესების აღწერისას, ხოლო მეორეს მხრივ – არაწრფივი პარაბოლური ტიპის ცნობილი განტოლებების განზოგადებისას, რომელთა შესწავლას ეძღვნება მრავალი სამეცნიერო ნაშრომი [6,7,17-20, 28, 34, 37, 39, 47, 51, 52, 60, 65, 69, 92, 95, 97, 98, 102]. ამ განტოლებების და განტოლებათა სისტემების დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი რიგის წარმოებულებთან გვხვდება არაწრფივი კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია სივრცითი და დროითი ცვლადების მიმართ საძიებელი ფუნქციებისა და მათი წარმოებულებიდან აღებულ ინტეგრალებზე.

დიფუზიის მრავალი პროცესის აღმწერი არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებები და განტოლებათა სისტემები იყო და კვლავაც არის მრავალი მეცნიერის კვლევის ობიექტი. ამ სისტემების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების დადგენა, დისკრეტული ანალოგების აგება, გამოკვლევა და რიცხვითი ალგორითმების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე გამოთვლითი მათემატიკის მეტად აქტუალურ და სწრაფად განვითარებად ნაწილს.

დისერტაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი არაწრფივი დიფერენციალური

და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემების ზოგიერთი თვისების შესწავლა, შესაბამისი დისკრეტული ანალოგების აგება და გამოკვლევა, სარეალიზაციო ალგორითმების შედგენა, პროგრამული უზრუნველყოფა და რიცხვითი ამოხსნა.

სხვადასხვა ბუნების დიფუზიური ამოცანების მოდელირება და მათემატიკური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის მდგრადობის, არსებობის, ერთადერთობის თეორემები და ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები შესწავლილია მრავალ სამეცნიერო ნაშრომში [2, 9, 15, 16, 20, 23-26, 30, 32-34, 38, 39, 47, 48, 51, 52, 57, 59, 69, 70-72, 84, 85, 87, 89, 95, 96].

რეალური ფიზიკური ამოცანების შესწავლა თანამედროვე პერსონალური კომპიუტერების გარეშე წარმოუდგენელია. არწრფივი ამოცანების ამოხსნის მეთოდების განვითარება და მათ ბაზაზე სხვადასხვა გამოყენებითი ამოცანის მოდელირებისთვის გამოთვლითი ექსპერიმენტების აუცილებლობა ნათელია. მათემატიკური ფიზიკის ამოცანების რიცხვითი ამოხსნის მეთოდები განხილულია [1, 13, 16, 21, 29, 34, 37, 38, 40, 43-45, 47, 48, 50, 51, 56, 61, 65, 95] და მრავალ სხვა შრომაში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

<u>პირველ თავში</u> განიხილება ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის მათემატიკური აღწერა ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე. პირველ ორ პარაგრაფში მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის საფუძველზე მოცემულია დიფუზიის ზოგადი ამოცანის დასმა. ამავე პარაგრაფებში განხილულია მათი ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება. მოყვანილია ამ ამოცანის რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ სახემდე. აღსანიშნავია, რომ მაქსველის

განტოლებათა სისტემისთვის აღნიშნული რედუქცია პირველად [8] ნაშრომში იქნა ჩატარებული. შედეგად მიღებულ იქნა არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა ახალი კლასი, რომლის მიმართაც სამეცნიერო ინტერესი თანდათან იზრდება [2, 9-12, 25, 31, 33, 74-78, 80-83].

განვიხილოთ მაქსველის დიფერენციალური განტოლებათა სისტემის რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემამდე. დავუშვათ, ელექტრომაგნიტური ველი ვრცელდება ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტი დამოკიდებულია ტემპერატურაზე. კვაზისტაციონარულ მიახლოებაში მაქსველის შესაბამის განტოლებათა სისტემას აქვს შემდეგი სახე [36, 55]:

$$\frac{\partial H}{\partial t} = -rot\left(\nu_m rot\, H\right), \tag{0.1}$$

$$c_\nu \frac{\partial \theta}{\partial t} = \nu_m \left(rot\, H\right)^2, \tag{0.2}$$

სადაც $H = \left(H_1, H_2, H_3\right)$ – მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორია, θ – ტემპერატურა, c_ν და ν_m – ახასიათებენ შესაბამისად გარემოს სითბოტევადობას და ელექტროგამტარობას. (0.1) განტოლებით აღიწერება მაგნიტური ველის გავრცელება გარემოში, (0.2) განტოლებით კი ტემპერატურის ცვლილება ჯოულის სითბოგამოყოფის ხარჯზე.

თუ $c_\nu = c_\nu(\theta)$ და $\nu_m = \nu_m(\theta)$, მაშინ (0.2) განტოლების დროითი ცვლადით ინტეგრებისა და (0.1) სისტემაში ჩასმის შედეგად მივიღებთ

$$\frac{\partial H}{\partial t} = -rot\left[a\left(\int_0^t \left|rot\, H\right|^2 d\tau \right) rot\, H \right], \tag{0.3}$$

სადაც $a(S)$ კოეფიციენტი განისაზღვრება c_ν და ν_m ფუნქციების საშუალებით.

აღნიშნული ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი რთულია და მისი გამოკვლევა ჯერჯერობით მხოლოდ კერძო კლასებისთვის ხერხდება. (0.3) ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის სხვადასხვა ვარიანტები განხილულია [2, 9-12, 25, 31, 33, 74-78, 80] შრომებში.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორი ორკომპონენტიანია $H=(0,U,V)$, სადაც $U=U(x,t)$, $V=V(x,t)$ – დროისა და ერთი სივრცული ცვლადის სკალარული ფუნქციაა. ამ შემთხვევაში $rot\,H=\left(0,-\frac{\partial V}{\partial x},\frac{\partial U}{\partial x}\right)$, და (0.3) სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned}\frac{\partial U}{\partial t}&=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right],\\ \frac{\partial V}{\partial t}&=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial V}{\partial x}\right],\end{aligned}\qquad (0.4)$$

ინტეგრო-დიფერენციალური (0.3) მოდელის გამოკვლევა $H=(0,0,U)$ შემთხვევისთვის ჩატარებული იყო [8], [9] შრომებში. კერძოდ, ამ შრომებში დამტკიცებულია პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის განზოგადებული ამონახსნის არსებობის თეორემა ერთგანზომილებიანი სივრცითი ცვლადის შემთხვევაში, როცა $a(S)=1+S$, ხოლო ერთადერთობის თეორემები უფრო ზოგადი შემთხვევებისთვისაც.

ერთგანზომილებიანი ვარიანტი $a(S)=(1+S)^p$, $0<p\le 1$ შემთხვევისთვის შესწავლილია [10] შრომაში. ამ შრომაში პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნისთვის დამტკიცებულია

ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები $L_{2p+2}\left(0,T;\overset{o}{W}{}^{1}_{2p+2}(0,1)\right)$ სივრცეში.

მრავალგანზომილებიანი სივრცული ცვლადების შემთხვევა პირველად განხილული იყო [11, 12, 22] შრომებში.

თუ სხეულის გასწვრივ ტემპერატურას ჩავთვლით მუდმივს, კერძოდ, დამოკიდებულს დროზე და დამოუკიდებელს სივრცითი ცვლადებისგან, მაშინ როცა $H=(0,U,V)$, მივიღებთ (0.4) სისტემის ანალოგიურ სისტემას [25]:

$$\frac{\partial U}{\partial t}-a\left(\int_0^t\int_0^1\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 U}{\partial x^2}=0,$$

$$\frac{\partial V}{\partial t}-a\left(\int_0^t\int_0^1\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 V}{\partial x^2}=0.$$

ზემოთ მიღებული სისტემის გამოკვლევა, როგორც ეს [25] სადისერტაციო ნაშრომშია აღნიშნული, რთულია და მოითხოვს დამოუკიდებელ შესწავლას. ერთი განტოლების შემთხვევაში ამონახსნის ასიმპტოტურ ყოფაქცევას სხვა საკითხებთან ერთად ეხება [76] ნაშრომი.

მესამე პარაგრაფში მოცემულია შესწავლილი დიფუზიური ამოცანების ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება. განხილულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების გლობალური ამონახსნების არსებობის საკითხები. კერძოდ, აგებულია ისეთი არაწრფივი სისტემა და მისი ანალიზური ამონახსნების მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ აღნიშნულ სისტემებს საზოგადოდ გლობალური ამონახსნები არა აქვთ. ერთ-ერთი დიფუზიური ამოცანის ამონახსნისთვის შეისწავლება ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი

ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. დადგენილია ჰოფის ტიპის ბიფურკაციის წარმოშობის შესაძლებლობა.

ამ პარაგრაფში გამოკვლევა ჩატარებულია შემდეგი სისტემის მაგალითზე:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a(S)\frac{\partial U}{\partial x}\right],\quad \frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a(S)\frac{\partial V}{\partial x}\right], \tag{0.5}$$

$$\frac{\partial S}{\partial t}=F\left(S,\frac{\partial U}{\partial x},\frac{\partial V}{\partial x}\right), \tag{0.6}$$

სადაც a და F – თავიანთი არგუმენტების ცნობილი, ხოლო U,V და S კი – უცნობი ფუნქციებია.

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგის და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების მრავალი გამოყენებითი პრობლემა მოდელირდება (0.5), (0.6) სახის არაწრფივ, კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებით. კერძოდ, თუ

$$F\left(S,\frac{\partial U}{\partial x},\frac{\partial V}{\partial x}\right)=b(S)+c(S)\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right], \tag{0.7}$$

სადაც b და c – თავიანთი არგუმენტების მოცემული ფუნქციებია, მაშინ (0.5) - (0.7) სისტემა წარმოადგენს მაქსველის სისტემის ვარიანტს, რომლითაც აღიწერება მაგნიტური ველის გავრცელება ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე.

აღნიშნული სისტემა წარმოიშობა აგრეთვე ისეთი უკუმშვადი სითხის მოძრაობის აღწერისას, რომლის სიბლანტეც დამოკიდებულია ტემპერატურაზე [63], [64].

თუ (0.6) განტოლების ნაცვლად (0.5) სისტემას მივუერთებთ შემდეგ განტოლებას

$$\frac{\partial S}{\partial t} = b(S) + c(S)\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right] + \frac{\partial}{\partial x}\left[d(S)\frac{\partial S}{\partial x}\right], \tag{0.8}$$

სადაც d ასევე მოცემული ფუნქციაა, მაშინ (0.5), (0.8) სისტემით კვლავ აღიწერება მაგნიტური ველის გავრცელება გარემოში. (0.8) განტოლებაში მეორე შესაკრები შეესაბამება ჯოულის სითბოგამოყოფას, ხოლო მესამე კი – სითბოგამტარობის ეფექტს. (0.5), (0.8) ტიპის სისტემების ზოგიერთი თვისების შესწავლა ჩატარებულია შრომებში [2, 79].

ამავე პარაგრაფში ერთ-ერთი დიფუზიური ამოცანისთვის შესწავლილია ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. დადგენილია ჰოფის ტიპის ბიფურკაციის წარმოშობის შესაძლებლობა.

აღნიშნულ ამოცანას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{gathered}\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(S^\alpha \frac{\partial U}{\partial x}\right), \quad \frac{\partial V}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(S^\alpha \frac{\partial V}{\partial x}\right), \\ \frac{\partial S}{\partial t} = -aS^\beta + bS^\gamma\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right],\end{gathered} \tag{0.9}$$

$$U(0,t) = V(0,t) = 0,$$

$$U(1,t) = \psi_1, \quad V(1,t) = \psi_2, \tag{0.10}$$

$$U(x,0) = U_0(x), \quad V(x,0) = V_0(x), \quad S(x,0) = S_0(x) > 0.$$

სადაც $\alpha, \beta, \gamma \in R,\ \alpha \neq 0, \quad a, b \in R^+,\ \psi_1 = const > 0,\ \psi_2 = const > 0.$

ახლა გადავიდეთ დისერტაციაში მიღებული ძირითადი თეორემების ჩამოყალიბებაზე.

თეორემა 1. თუ $2\alpha + \beta - \gamma > 0$, $\beta \neq \gamma$, მაშინ (0.9), (0.10) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი

$$\left(\psi_1 x, \quad \psi_2 x, \quad \left(\frac{\left(\psi_1^{\,2} + \psi_2^{\,2}\right) b}{a} \right)^{\frac{1}{\beta-\gamma}} \right)$$

წრფივად მდგრადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება შემდეგი უტოლობა

$$a(\gamma-\beta)\left[\frac{b}{a}\left(\psi_1^2+\psi_2^2\right)\right]^{\frac{\beta-\alpha-1}{\beta-\gamma}} < \pi^2.$$

როგორც უკანასკნელი უტოლობიდან ჩანს, როცა $\gamma < \beta$, მაშინ (0.9), (0.10) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი ყოველთვის წრფივად მდგრადია.

დავუშვათ, $\gamma > \beta$, $\beta - \alpha - 1 \neq 0$ და განვიხილოთ სიდიდე

$$\psi_s = \left[\frac{\pi^2}{\gamma-\beta} a^{\frac{\gamma-\alpha-1}{\beta-\gamma}} b^{\frac{\alpha-\beta+1}{\beta-\gamma}} \right]^{\frac{\beta-\gamma}{\beta-\alpha-1}},$$

მაშინ როცა $\psi \in (0, \psi_s)$, სადაც $\psi = \psi_1^2 + \psi_2^2$, (5), (6) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი წრფივად მდგრადია, ხოლო როცა $\psi > \psi_s$, მაშინ კი – არამდგრადი. როცა $\psi = \psi_s$, მაშინ ჩნდება ჰოფის ბიფურკაციული მოვლენის შესაძლებლობა. მცირე შეშფოთებებმა შეიძლება სტაციონარული ამონახსნი გადაიყვანოს დროით პერიოდულ რხევებში.

ამავე პარაგრაფში (0.9) სისტემის ერთი კერძო შემთხვევისთვის დამტკიცებულია

თეორემა 2. თუ $\alpha = \beta = a = b = 1, \gamma = 0,$ მაშინ (0.9), (0.10) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი

$$\left(\psi_1 x, \quad \psi_2 x, \quad \psi_1^{\,2} + \psi_2^{\,2}\right),$$

გლობალურად მდგრადია $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით და ამასთან ქრობას აქვს ექსპონენციალური ხასიათი.

თუ (0.9) განტოლებათა სისტემისთვის (0.10)-ის ნაცვლად განვიხილავთ შემდეგ საწყის-სასაზღვრო პირობებს:

$$U(0,t)=V(0,t)=0,$$

$$S^{\alpha}\frac{\partial U}{\partial x}\bigg|_{x=1}=\psi_1,\quad S^{\alpha}\frac{\partial V}{\partial x}\bigg|_{x=1}=\psi_2, \tag{0.11}$$

$$U(x,0)=U_0(x),\quad V(x,0)=V_0(x),\quad S(x,0)=S_0(x)>0.$$

მაშინ სამართლიანია შემდეგი თეორემები:

თეორემა 3. თუ $2\alpha+\beta-\gamma>0$, მაშინ (0.9), (0.11) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი

$$\left(\psi_1\left(\frac{\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)b}{a}\right)^{-\frac{\alpha}{2\alpha+\beta-\gamma}}x,\ \psi_2\left(\frac{\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)b}{a}\right)^{-\frac{\alpha}{2\alpha+\beta-\gamma}}x,\ \left(\frac{\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)b}{a}\right)^{\frac{1}{2\alpha+\beta-\gamma}}\right)$$

წრფივად მდგრადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება შემდეგი უტოლობა

$$(\gamma-\beta)b^{\frac{\beta-\alpha-1}{2\alpha+\beta-\gamma}}a^{\frac{3\alpha-\gamma+1}{2\alpha+\beta-\gamma}}\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)^{\frac{\beta-\alpha-1}{2\alpha+\beta-\gamma}}<\frac{\pi^2}{4}.$$

თეორემა 4. თუ $\alpha=\beta=a=b=1,\ \gamma=0,$ მაშინ (0.9), (0.11) ამოცანის სტაციონარული ამონახსნი

$$\left(\psi_1\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)^{-\frac{1}{3}}x,\ \psi_2\left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)^{-\frac{1}{3}}x,\ \left(\psi_1^{\,2}+\psi_2^{\,2}\right)^{\frac{1}{3}}\right)$$

გლობალურად მდგრადია $L_2(0,1)$ სივრცის ნორმის აზრით და ამასთან ქრობას აქვს ექსპონენციალური ხასიათი.

თეორემა 1 და თეორემა 3-ის შემთხვევებში ჩატარებულმა რიცხვითმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს მიახლოებითი ამონახსნის სტაციონარული ამონახსნისკენ მისწრაფება. თეორემა 1-ის შესატყვისი

გრაფიკული ილუსტრაციები მოცემულია მესამე თავის მეოთხე პარაგრაფში (ნახ. 1, 2). ანალოგიური სურათები მიიღება თეორემა 3-ის შემთხვევაშიც. რაც შეეხება გლობალურად მდგრადობის დებულებებს (თეორემები 2 და 4), აქ ჩატარებულმა მიახლოებითმა გამოთვლებმა როგორც მოსალოდნელი იყო მოგვცა სტაციონარული ამონახსნისკენ მიახლოებითი ამონახსნის მისწრაფების ბუნებრივი სურათი (იხ. თავი III, §4, ნახ. 4).

<u>მეორე თავში</u> შესწავლილია შემდეგი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემის თვისებები:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a(S)\frac{\partial U}{\partial x}\right],\quad \frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[b(S)\frac{\partial V}{\partial x}\right], \tag{0.12}$$

სადაც

$$S(x,t)=1+\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\ , \tag{0.13}$$

ან

$$S(t)=1+\int_0^t\int_0^1\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dx\,d\tau\ , \tag{0.14}$$

ხოლო $a(S)$ და $b(S)$ თავიანთი არგუმენტების ცნობილი ფუნქციებია.

მოცემული (0.12), (0.13) და (0.12), (0.14) სისტემები წარმოადგენენ იმ მოდელების განზოგადებებს, რომლებსაც ვღებულობთ პირველ თავში აღწერილი ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირებისას.

მეორე თავში არსებითი ყურადღება ეთმობა ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის თეორიულ გამოკვლევას. მესამე თავის ბოლოს კი კვლავ მოცემულია შესაბამისი რიცხვითი გათვლების შედეგები.

გავეცნოთ მეორე თავის შინაარსს უფრო დაწვრილებით.

პირველ პარაგრაფში მოყვანილია აღნიშვნები და დამხმარე დებულებები.

მეორე პარაგრაფში, $Q=(0,1)\times(0,\infty)$ არეში, (0.12), (0.13) და (0.12), (0.14) განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$\begin{aligned} &U(0,t)=U(1,t)=V(0,t)=V(1,t)=0, \quad t\geq 0, \\ &U(x,0)=U_0(x), \quad V(x,0)=V_0(x), \quad x\in[0,1]. \end{aligned} \tag{0.15}$$

ორივე ამოცანის შემთხვევისთვის დამტკიცებულია შემდეგი

თეორემა 5. თუ $a(S)=b(S)$, $a(S)\geq a_0=const>0$, მაშინ (0.12), (0.13), (0.15) და (0.12), (0.14), (0.15) ამოცანების ამონახსნისთვის სამართლიანია შეფასებები:

$$\|U\|\leq Ce^{-a_0 t}, \qquad \|V\|\leq Ce^{-a_0 t},$$

ხოლო თუ დამატებით შესრულებულია $a'(S)\geq 0$, $a''(S)\leq 0$ პირობები, მაშინ ადგილი აქვს შემდეგ ზღვრულ თანაფარდობებს:

$$\|U(\cdot,t)\|_{W_2^1(0,1)}\to 0, \qquad \|V(\cdot,t)\|_{W_2^1(0,1)}\to 0, \qquad \text{როცა} \quad t\to\infty.$$

ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობების შემთხვევაში ამოცანის ამონახსნის ქრობა დროის უსასრულოდ ზრდისას, ნათლად გამოჩნდა ჩატარებული რიცხვითი გამოთვლებიდანაც (იხ. თავი III, §4, ნახ. 5). აღსანიშნავია, რომ რიცხვითმა ექსპერიმენტებმა W_2^1 ნორმაში ამონახსნების ქრობა დააფიქსირა მაშინაც, როცა $a(S)=S^p$, $p>1$. შევნიშნოთ, რომ აღნიშნული შემთხვევები თეორემა 5-ის ყველა პირობას არ აკმაყოფილებენ.

მესამე პარაგრაფში შესწავლილია შემდეგი არაერთგვაროვანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხი:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(1+\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right],$$
$$\frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(1+\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial V}{\partial x}\right], \tag{0.16}$$

$$U(0,t)=V(0,t)=0\,,\ U(1,t)=\psi_1,\ V(1,t)=\psi_2,\ t\geq 0\,,$$
$$U(x,0)=U_0(x),\ V(x,0)=V_0(x),\ x\in[0,1]\,, \tag{0.17}$$

სადაც $\psi_1=Const\geq 0$, $\psi_2=Const\geq 0$, $\psi_1^2+\psi_2^2\neq 0$, ხოლო a, U_0 და V_0 კი თავიანთი არგუმენტების მოცემული ფუნქციებია.

ამ პარაგრაფშივე (0.16), (0.17) ამოცანის ამონახსნისთვის დამტკიცებულია შემდეგი

თეორემა 6. თუ $a(S)=S^p$, $p\in(-1/2;0)\cup(0;1]$ და U_0, V_0 ფუნქციები აკმაყოფილებენ პირობებს:

$$U_0(0)=V_0(0)=0,\quad U_0(1)=\psi_1,\quad V_0(1)=\psi_2,\ U_0, V_0\in W_2^2(0,1),$$

მაშინ (0.16), (0.17) ამოცანის ამონახსნისთვის სამართლიანია შემდეგი ასიმპტოტური დამოკიდებულებები:

$$\frac{\partial U(x,t)}{\partial x}=\psi_1+O\left(t^{-1-p}\right),\quad \frac{\partial V(x,t)}{\partial x}=\psi_2+O\left(t^{-1-p}\right),$$
$$\frac{\partial U(x,t)}{\partial t}=O\left(t^{-1}\right),\quad \frac{\partial V(x,t)}{\partial t}=O\left(t^{-1}\right).$$

მეოთხე პარაგრაფში (0.12), (0.14) განტოლებათა სისტემისთვის, როცა $a(S)=S^p$ და $b(S)=S^q$, სადაც საზოგადოდ $p\neq q$, Q არეში განხილულია (0.17) საწყის-სასაზღვრო ამოცანა.

დამტკიცებულია შემდეგი

თეორემა 7. თუ $a(S)=S^p$, $b(S)=S^q$, $1+p+q>0$, $p>-1$, $q>-1$, $U_0(0)=V_0(0)=0$, $U_0(1)=\psi_1$, $V_0(1)=\psi_2$, $U_0, V_0\in W_2^2(0,1)$,

მაშინ (0.12), (0.14), (0.17) ამოცანის ამონახსნისთვის სამართლიანია შემდეგი ასიმპტოტური დამოკიდებულებები:

$$\frac{\partial U(x,t)}{\partial x} = \psi_1 + O\left(t^{-1-p}\right), \quad \frac{\partial V(x,t)}{\partial x} = \psi_2 + O\left(t^{-1-q}\right),$$

$$\frac{\partial U(x,t)}{\partial t} = O\left(t^{-1}\right), \quad \frac{\partial V(x,t)}{\partial t} = O\left(t^{-1}\right).$$

აღვნიშნოთ, რომ ბოლო ორი თეორემის დამტკიცება საკმაოდ დიდ მოცულობას იკავებს და მრავალი დამხმარე ლემისგან შედგება.

დისერტაციის მესამე თავში შემუშავებული მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების გამოყენებით ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები აქაც ადასტურებენ როგორც თეორემების დასკვნების სანდოობას, ასევე აღნიშნული ალგორითმების ეფექტურობას. რიცხვითი ექსპერიმენტების საშუალებით დადასტურდა როგორც თეორემა 6-ის შედეგები, ასევე იმ დებულებების დასკვნებიც რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ საკმაო რაოდენობით გვხვდება თეორემის დამტკიცებისას.

<u>მესამე თავში</u> წინა ორ თავში შესწავლილი არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემებისთვის აგებულია სხვაობიანი სქემები და ნახევრად-დისკრეტული მოდელები. დამტკიცებულია მათი კრებადობის თეორემები. მოცემულია მიახლოებითი ამონახსნების აგების ალგორითმების აღწერა და ჩატარებული მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტის გრაფიკული ილუსტრაციები.

გავეცნოთ მესამე თავის შინაარსს უფრო დაწვრილებით.

პირველ პარაგრაფში შემდეგი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური ამოცანისთვის

$$\frac{\partial U}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left\{\left(1+\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right\}=f_1,$$

$$\frac{\partial V}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left\{\left(1+\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial V}{\partial x}\right\}=f_2, \qquad (0.18)$$

$$U(0,t)=U(1,t)=V(0,t)=V(1,t)=0,$$

$$U(x,0)=U_0(x), \quad V(x,0)=V_0(x)$$

აგებულია ნახევრად-დისკრეტული მოდელი:

$$\frac{du_i}{dt}-\left\{\left(1+\int_0^t\left[\left(u_{\bar{x},i}\right)^2+\left(v_{\bar{x},i}\right)^2\right]d\tau\right)u_{\bar{x},i}\right\}_x=f_{1,i},$$

$$\frac{dv_i}{dt}-\left\{\left(1+\int_0^t\left[\left(u_{\bar{x},i}\right)^2+\left(v_{\bar{x},i}\right)^2\right]d\tau\right)v_{\bar{x},i}\right\}_x=f_{2,i}, \qquad (0.19)$$

$$i=1,2....,N-1,$$

$$u_0(t)=u_N(t)=v_0(t)=v_N(t)=0,$$

$$u_i(0)=U_{0,i}, \;\; v_i(0)=V_{0,i}, \;\; i=0,1,...,N.$$

დამტკიცებულია კრებადობის შემდეგი დებულება

თეორემა 8. თუ (0.18) ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი $U=U(x,t)$, $V=V(x,t)$ მაშინ (0.19) სქემის ამონახსნი $u(t)=(u_1(t),u_2(t),...,u_{N-1}(t))$, $v(t)=(v_1(t),v_2(t),...,v_{N-1}(t))$ მიისწრაფის შესაბამისად $U(t)=(U_1(t),U_2(t),...,U_{N-1}(t))$, $V(t)=(V_1(t),V_2(t),...,V_{N-1}(t))$ ფუნქციებისკენ, როცა $h\to 0$ და ადგილი აქვს შემდეგ შეფასებებს:

$$\|u(t)-U(t)\|\le Ch^2, \quad \|v(t)-V(t)\|\le Ch^2.$$

მეორე პარაგრაფში დამტკიცებულია კრებადობის თეორემა (0.18) ამოცანის შესაბამისი შემდეგი არაცხადი სხვაობიანი სქემისთვის:

$$u_{t,i}^{j}-\left\{\left(1+\tau\sum_{k=1}^{j+1}\left[\left(u_{\bar{x},i}^{k}\right)^{2}+\left(v_{\bar{x},i}^{k}\right)^{2}\right]\right)u_{\bar{x},i}\right\}_{x}=f_{1,i},$$

$$v_{t,i}^{j}-\left\{\left(1+\tau\sum_{k=1}^{j+1}\left[\left(u_{\bar{x},i}^{k}\right)^{2}+\left(v_{\bar{x},i}^{k}\right)^{2}\right]\right)v_{\bar{x},i}\right\}_{x}=f_{2,i},$$

$$i=1,2....,N-1,\quad j=0,1....,M-1, \tag{0.20}$$

$$u_0^j=u_N^j=v_0^j=v_N^j=0,\quad i=0,1....,M,$$

$$u_i^0=U_{0,i},\quad v_i^0=V_{0,i},\quad i=0,1....,N.$$

თეორემა 9. თუ (0.18) ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი $U=U(x,t)$, $V=V(x,t)$, მაშინ (0.20) სქემის ამონახსნი $u^j=\left(u_1^j,u_2^j,...,u_{N-1}^j\right)$, $v^j=\left(v_1^j,v_2^j,...,v_{N-1}^j\right)$, მიისწრაფის შესაბამისად $U^j=\left(U_1^j,U_2^j,...,U_{N-1}^j\right)$, $V^j=\left(V_1^j,V_2^j,...,V_{N-1}^j\right)$ ფუნქციებისკენ როცა $\tau\to 0$, $h\to 0$ და ადგილი აქვს შემდეგ შეფასებებს:

$$\left\|u^j-U^j\right\|\le C\left(\tau+h^2\right),\qquad \left\|v^j-V^j\right\|\le C\left(\tau+h^2\right).$$

მესამე პარაგრაფში არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისთვის

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(S^{\alpha}\frac{\partial U}{\partial x}\right),\qquad \frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(S^{\alpha}\frac{\partial V}{\partial x}\right),$$

$$\frac{\partial S}{\partial t}=-aS^{\beta}+bS^{\gamma}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^{2}+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^{2}\right] \tag{0.21}$$

დასმულია შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$U(0,t)=V(0,t)=0,\quad U(1,t)=\psi_1,\quad V(1,t)=\psi_2,$$

$$U(x,0)=U_0(x),\quad V(x,0)=V_0(x), \tag{0.22}$$

$$S(x,0)=S_0(x)>s_0=const>0$$

და შესწავლილია მისი მიახლოებითი ამოხსნის საკითხი. (0.21) განტოლებათა სისტემა $E=S^{1/2}$ აღნიშვნის საშუალებით მიიყვანება შემდეგ განტოლებათა სისტემამდე:

$$\frac{\partial U}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left(E^{2\alpha}\frac{\partial U}{\partial x}\right)=0,\ \frac{\partial V}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left(E^{2\alpha}\frac{\partial V}{\partial x}\right)=0,$$

$$\frac{\partial E}{\partial t}=-\frac{a}{2}E^{2\beta-1}+\frac{b}{2}E^{2\gamma-1}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]. \tag{0.23}$$

(0.22), (0.23) ამოცანისთვის აგებულია შემდეგი არაცხადი სხვაობიანი სქემა:

$$u_t=\left(e^{2\alpha}u_{\bar{x}}\right)_x,\ v_t=\left(e^{2\alpha}v_{\bar{x}}\right)_x,$$

$$e_t=-\frac{a}{2}e^{2\beta-1}+\frac{b}{2}e^{2\gamma-1}\left(u_{\bar{x}}^2+v_{\bar{x}}^2\right), \tag{0.24}$$

$$u_0^j=v_0^j=0,\ u_N^j=\psi_1,\ v_N^j=\psi_2,\ j=0,1....,M,$$

$$u_i^0=U_0(x_i),\ v_i^0=V_0(x_i),\ e_i^0=\left[S_0\left(x_{i+1/2}\right)\right]^{1/2},\ i=0,1....,N.$$

დამტკიცებულიაკრებადობის შემდეგი დებულება

თეორემა 10. თუ $\beta\geq 1/2$, $\alpha=\gamma$, $|\alpha|\leq 1/2$, მაშინ (0.24) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცის ცდომილება (0.22), (0.23) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau+h^2)$ რიგის და იგი კრებადია (0.22), (0.23) ამოცანის ამონახსნისკენ ბადურ ფუნქციათა L_{2h} სივრცეში, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

მეოთხე პარაგრაფი ეძღვნება აგებული არაწრფივი სქემების რიცხვითი ამოხსნის საკითხებს. აღწერილია ერთი მარტივი

საიტერაციო პროცესის ალგორითმიზაცია, რომელიც ყოველ იტერაციაზე დაიყვანება ჩვეულებრივი ფაქტორიზაციის მეთოდის ორჯერად გამოყენებაზე. მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმად გამოყენებულია [16] შრომაში შემოთავაზებული მიდგომის ანალოგიც. ტესტური გამოთვლები ჩატარებულია დიფუზიური ამოცანის ზუსტ ამონახსნებზე, რომლებიც ადასტურებენ შემოთავაზებული რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების ეფექტურობას.

მაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის შესწავლისთვის ჩატარებულია მრავალრიცხოვანი გამოთვლითი ექსპერიმენტი სხვადასხვა სახის სასაზღვრო რეჟიმისა და განსხვავებული α მაჩვენებლის შემთხვევისთვის $\nu_m = \nu_0 \theta^\alpha$ დამოკიდებულებაში. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები გვიჩვენებს, რომ საწყის ეტაპზე მაგნიტური ველის შეღწევის პროცესი როცა $\alpha \to 1$, თვისობრივად განსხვავდება წრფივი შემთხვევისგან, თუმცა გააჩნია ანალოგიური ასიმპტოტური ხასიათი დროის დიდი მნიშვნელობებისთვის. დასაწყისში გარემოს სასაზღვრო ზოლში მაგნიტური ველის ენერგიის დიდი ნაწილი გამოიყოფა სითბური ენერგიის სახით, შემდეგ კი სითბოგამტარობის სტრუქტურა იწვევს ტემპერატურის თანდათან გათანაბრებას. ერთთან ახლოს მყოფი ხარისხის მაჩვენებლისთვის ველის გავრცელება მიმდინარეობს შედარებით ნელა.

პარამეტრთა სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის ჩატარებული გამოთვლები გვაძლევენ შემოთავაზებული ალგორითმების ეფექტურობას და ადასტურებენ თეორიული გამოკვლევების შედეგებს ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევისა და ჰოფის ბიფურკაციული მოვლენის შესაძლებლობის შესახებ.

მთლიანობაში, რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგები საშუალებას იძლევა აღიწეროს ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის

ზოგიერთი ძირითადი თვისება ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობაც ხასიათდება სპეციალური არაწრფივობით.

დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იყო: სტუდენტთა და ასპირანტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე (1993-2002 წწ.), სტუდენტთა და ასპირანტთა სოროსის კონფერენცია-კონკურსებზე (1995-2002 წწ.), თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარების სხდომებზე (1995-2002 წწ.), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრის სამეცნიერო სემინარებზე (1995-2002 წწ.), საერთაშორისო სიმპოზიუმზე "უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემები" (თბილისი, 1997 წ.).

თავი I

არაწრფივი დიფუზიური სისტემის წარმოშობისა და მისი ზოგიერთი თვისების შესახებ

წინამდებარე თავში განიხილება ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის მათემატიკური აღწერა ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე. მაქსველის დიფერენციალურ სისტემაზე დაყრდნობით მოყვანილია დიფუზიის ზოგადი ამოცანის დასმა. მოცემულია ამოცანის რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ სახემდე.

ამავე თავში განხილულია ამოცანის ზოგიერთი მათემატიკური თავისებურება.

შესწავლილია ერთი დიფუზიური მოდელის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. დადგენილია ჰოფის ბიფურკაციული მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობა.

§1. ზოგადი ამოცანის განხილვა

განვიხილოთ ფიზიკური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ცვლად ელექტრომაგნიტურ ველში მოთავსებულ გამტარ გარემოში. გამტარი შემოსაზღვრულია ვაკუუმური ზოლით (დიელექტრიკით).

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ელექტრომაგნიტური ველი და დენის დაძაბულობა აკმაყოფილებენ მაქსველის შემდეგ განტოლებათა სისტემას [36, 55]:

$$-\frac{1}{c}\frac{\partial \mu H}{\partial t} = rot\, E, \tag{1.1}$$

$$div\, \mu H = 0, \tag{1.2}$$

$$\frac{4\pi}{c}\sigma E = rot\, H, \tag{1.3}$$

სადაც $E = (E_1, E_2, E_3)$ და $H = (H_1, H_2, H_3)$ – შესაბამისად ელექტრული და მაგნიტური ველის დაძაბულობის ვექტორებია, μ მაგნიტური შეღწევადობა, σ – გარემოს გამტარიანობა, c კი – სინათლის სიჩქარე ვაკუუმში.

(1.3) ტოლობაში გათვალისწინებულია ომის კანონი, რომელიც აკავშირებს E ვექტორს დენის სიმკვრივის J ვექტორთან შემდეგი დამოკიდებულებით

$$J = \sigma E. \tag{1.4}$$

ვაკუუმურ გარემოში, (1.1) - (1.3) დამოკიდებულებებთან ერთად სრულდება ტოლობა

$$div\, E = 4\pi\rho,$$

სადაც ρ – მოცემული მუხტების განაწილებაა.

თუ დროის რომელიღაც მომენტში მაგნიტური ველი სოლენოიდურია, ე.ი. $div\, \mu H = 0$, მაშინ (1.2) შესრულდება ავტომატურად. მართლაც, (1.1) ტოლობიდან ვღებულობთ

$$\frac{\partial}{\partial t} div\, \mu H = 0.$$

ვიგულისხმოთ, რომ გარემოსთვის, სადაც მიმდინარეობს დიფუზიური პროცესი, $\mu = 1$ და ელექტროგამტარობის კოეფიციენტი დამოკიდებულია ტემპერატურაზე – $\sigma = \sigma(\theta)$. ჩავთვალოთ, რომ ეს დამოკიდებულება ხარისხოვანია, რადგან ბუნებაში უფრო მეტად

ზუსტად ეს შემთხვევები გვხვდება (მაგ., მეტალებისთვის $\sigma \cong \theta^{-1}$, ერთგვაროვანი პლაზმისთვის $\sigma \cong \theta^{3/2}$ და სხვ.)

ტემპერატურის განსასაზღვრავად უნდა გამოვიყენოთ სითბოს ბალანსის განტოლება. თუ უგულვებელვყოფთ სითბოგამტარობის ეფექტს, ტემპერატურის ცვლილება განისაზღვრება ჯოულის სითბოგამოყოფით და გავითვალისწინებთ რა (1.4) განტოლებას, გვექნება

$$c_v \frac{\partial \theta}{\partial t} = EJ = \sigma E^2, \tag{1.5}$$

სადაც c_v – გარემოს კუთრი სითბოტევადობაა. ამ დროს სითბოტევადობის კოეფიციენტი შეიძლება დამოკიდებული იყოს ტემპერატურაზე (უმეტეს შემთხვევაში ხარისხოვანი წესით).

ზემოთ ხსენებული (1.1), (1.3), (1.5) განტოლებები ქმნიან ჩაკეტილ სისტემას ელექტრომაგნიტური ველისა და ტემპერატურის განსასაზღვრავად შესაბამის საწყის-სასაზღვრო პირობებში.

საწყის-სასაზღვრო ამოცანების დასმა ზოგად შეთხვევაში და აგრეთვე სხვადასხვა გარემოს საზღვრებზე შეთანხმებულობის პირობების დადგენა დაწვრილებით განხილულია [11, 39, 51] შრომებში.

შევნიშნოთ, რომ (1.5) განტოლება შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით

$$\frac{\partial \varepsilon}{\partial t} = \sigma E^2, \tag{1.6}$$

სადაც ε გარემოს კუთრი შინაგანი ენერგიაა და $d\varepsilon = c_v d\theta$.

მათემატიკური თვალსაზრისით (1.1), (1.3), (1.6) სისტემის შესწავლის სირთულე განპირობებულია შემდეგი ორი ფაქტორით:

პირველი – როგორც ამ თავის შესავალში იყო აღნიშნული, ელექტროგამტარობის კოეფიცენტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე არაწრფივი ხასიათისაა.

მეორე – გამტარი გარემოდან ვაკუუმურ სივრცეში გადასვლისას იცვლება განტოლების სახე. მართლაც, გამოვრიცხავთ რა (1.1) და (1.3) ტოლობებიდან H ვექტორს, მივიღებთ შემდეგ სისტემას

$$\sigma \frac{\partial E}{\partial t} = -rot\, rot\, E\,,$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ გამტარში $(\sigma > 0)$ უნდა ამოიხსნას პარაბოლური, ხოლო ვაკუუმში $(\sigma = 0)$ კი – ელიფსური ამოცანა.

წრფივი დიფუზიური ამოცანის $(\sigma = \sigma(x))$ ამონახსნის არსებობის, ერთადერთობის და მიახლოებითი ამოხსნის საკითხები განხილულია [30, 38, 68, 73] შრომებში. ამასთან, [30] შრომაში დაშვებულია გარემოს მოძრაობა მაგნიტო-ჰიდროდინამიკური მიახლოების ფარგლებში. ამ ნაშრომებში ხდება ამოცანის კლასიკური დასმიდან განზოგადებულ დასმაზე გადასვლა. მოთხოვნა იმისა, რომ საძიებელი ფუნქციები აკმაყოფილებდნენ (1.2) განტოლებას და სასაზღვრო პირობებს, იცვლება იმ მოთხოვნით, რომ ისინი ეკუთვნოდენ სპეციალურ ფუნქციონალურ კლასებს. შესაბამისი ამოცანები (1.1), (1.3) განტოლებებისთვის მოიცემა ვარიაციული ფორმით, კერძოდ, ვარიაციული უტოლობების სახით.

(1.1) - (1.3) სისტემის შესწავლა შეიძლება აგრეთვე ჩავატაროთ იმ განტოლებების საფუძველზე, რომლებშიც მხოლოდ E ან H ვექტორი მონაწილეობს. მსგავსი გამოკვლევის მაგალითს წარმოადგენს [103] ნაშრომი, სადაც დამატებულია არაწრფივობა, განპირობებული μ მაგნიტური შეღწევადობის დამოკიდებულებით H ვექტორზე. აგრეთვე [49] ნაშრომი, რომელიც ეხება ელიფსო-პარაბოლური ტიპის განტოლებებს.

§2. მაქსველის დიფერენციალური განტოლებების რედუქცია ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემამდე

დავუშვათ, რომ მასიური სხეული მოთავსებულია ცვლად მაგნიტურ ველში. აღვწეროთ ველის განაწილება სხეულის შიგნით.

განვიხილოთ მაქსველის განტოლებათა სისტემა, რომელიც აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესს [36, გვ.336]:

$$-\frac{1}{c}\frac{\partial H}{\partial t} = rot\, E, \tag{2.1}$$

$$div\, H = 0, \tag{2.2}$$

$$\frac{4\pi}{c} J = rot\, H, \tag{2.3}$$

$$J = \sigma E. \tag{2.4}$$

განვსაზღვროთ (2.4) ტოლობიდან E სიდიდე და ჩავსვათ (2.3) განტოლებაში. მივიღებთ

$$E = \rho \frac{c}{4\pi} rot\, H,$$

სადაც $\rho = \frac{1}{\sigma}$ – სხეულის წინაღობაა. მიღებული ტოლობის (2.1) განტოლებაში ჩასმით გვექნება

$$\frac{\partial H}{\partial t} + \frac{c^2}{4\pi} rot\left(\rho rot\, H\right) = 0. \tag{2.5}$$

შეაღწევს რა ნივთიერებაში ცვლადი მაგნიტური ველი, იგი მასში აღძრავს ცვლად ელექტრულ ველს, რის შედეგადაც წარმოიქმნება დენი. ამის შემდეგ ხდება სხეულის გახურება და მისი θ ტემპერატურის ზრდა, რომელიც გავლენას ახდენს ρ წინაღობაზე. [54,

გვ.137] შრომაში მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ტემპერატურის ცვლილება იწვევს წინაღობის ხარისხოვანი დამოკიდებულებით ცვლილებას. ასე, რომ ტემპერატურის დიდი ცვლილებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ $\rho = \rho(\theta)$ დამოკიდებულება. ბოლო არსებითი შეზღუდვა რაც უნდა გაკეთდეს პროცესის აღწერისას, მდგომარეობს იმაში, რომ სხეულის ტემპერატურის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია J დენის მოქმედებით, უნდა ემორჩილებოდეს ჯოულ-ლენცის კანონს, რომელსაც აქვს შემდეგი სახე

$$\rho_0 c_\nu \frac{\partial \theta}{\partial t} = \rho J^2, \tag{2.6}$$

სადაც ρ_0 – ნივთიერების სიმკვრივეა, c_ν კი – კუთრი სითბოტევადობა, რომლებიც საზოგადოდ დამოკიდებული არიან ტემპერატურაზე. (2.6) განტოლება არ ითვალისწინებს სითბოს გადაცემის პროცესს სითბოგამტარობის ან გამოსხივების საშუალებით. არ განიხილება აგრეთვე მთელი რიგი ფიზიკური ეფექტები. მიუხედავად ამისა, მათემატიკური თვალსაზრისით, (2.5), (2.6) განტოლებები საკმაოდ რთულია.

გადავიდეთ (2.5), (2.6) სისტემის ინტეგრო-დიფერენცალურ განტოლებათა სისტემამდე რედუქციის საკითხის შესწავლაზე, რომელიც მიმდინარეობს [8] შრომის ანალოგიურად.

გადავწეროთ (2.6) განტოლება შემდეგი სახით

$$\rho_0(\theta)\frac{c_\nu}{\rho(\theta)}\frac{\partial \theta}{\partial t} = J^2.$$

თუ შემოვიღებთ ფუნქციას

$$S(\theta) = \int_{\theta_0}^{\theta} \rho_0(\xi)\frac{c_\nu}{\rho(\xi)}d\xi,$$

მაშინ უკანასკნელი განტოლებიდან მივიღებთ

$$\frac{\partial S}{\partial t} = J^2.$$

დავუშვათ, რომ პროცესი იწყება დროის $t = 0$ მომენტში, რომელსაც შეესაბამება ნივთიერების θ_0 ტემპერატურა.

ამ განტოლების $[0,t]$ შუალედზე ინტეგრებით მივიღებთ

$$S[\theta(x,t)] = \int_0^t J^2 d\tau .$$

ფიზიკური თვალსაზრისით ρ_0, c_ν და ρ ფუნქციები არის დადებითი, ამიტომ $S(\theta)$ ფუნქცია მონოტონურად ზრდადია. აქედან გამომდინარე ცალსახად განისაზღვრება მისი შებრუნებული $\theta = \varphi(S)$ ფუნქცია, რომელიც $S(\theta)$ ფუნქციასთან დაკავშირებულია $\varphi[S(\theta)] = \theta$ თანაფარდობით. ამრიგად, შიეძლება ჩაიწეროს

$$\theta(x,t) = \varphi\left(\int_0^t J^2 d\tau\right).$$

თუ გავითვალისწინებთ (2.3) განტოლებას, გვექნება

$$J = \frac{c}{4\pi} rot\, H ,$$

ანუ

$$\theta(x,t) = \varphi\left(\int_0^t \left|\frac{c}{4\pi} rot\, H\right|^2 d\tau\right).$$

ჩავსვათ ეს გამოსახულება (2.5) განტოლებაში, როგორც $\rho = \rho(\theta)$ ფუნქციის არგუმენტი, რის შედეგადაც მივიღებთ

$$\frac{\partial H}{\partial t} + \frac{c^2}{4\pi} rot\left\{\rho\left[\varphi\left(\int_0^t \left|\frac{c}{4\pi} rot\, H\right|^2 d\tau\right)\right] rot\, H\right\} = 0,$$

$$div\, H = 0.$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$$a(S)=\frac{c^2}{4\pi}\rho(\varphi(S)),\qquad W=\frac{c}{4\pi}H,$$

მაშინ სისტემა შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\frac{\partial W}{\partial t}+rot\left[a\left(\int_0^t|rot\,W|^2\,d\tau\right)rot\,W\right]=0, \tag{2.7}$$

$$div\,W=0.$$

თუ განვიხილავთ ბრტყელ ველს $W(0,U,V)$, სადაც $U=U(x,t)$ და $V=V(x,t)$ ფუნქციები დამოკიდებულია ერთ სივრცით ცვლადზე, მაშინ

$$rot\,W=\left(0,-\frac{\partial V}{\partial x},\frac{\partial U}{\partial x}\right),$$

ხოლო

$$rot\left(a(S)rot\,W\right)=\left(0,-\frac{\partial}{\partial x}\left(a(S)\frac{\partial U}{\partial x}\right),-\frac{\partial}{\partial x}\left(a(S)\frac{\partial V}{\partial x}\right)\right)$$

და შესაბამისად (2.7) ვექტორული დამოკიდებულებიდან ვღებულობთ შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned}&\frac{\partial U}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial U}{\partial x}\right]=0,\\&\frac{\partial V}{\partial t}-\frac{\partial}{\partial x}\left[a\left(\int_0^t\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]d\tau\right)\frac{\partial V}{\partial x}\right]=0.\end{aligned} \tag{2.8}$$

აღვნიშნოთ, რომ (2.7) სახის განტოლებები პირველად განხილული იყო [8], [9] შრომებში. ამ შრომებში, ისევე როგორც [22] შრომაში, სხვა საკითხებთან ერთად, $a=a(S)$ ფუნქციაზე საკმაოდ ზოგადი შეზღუდვების შემთხვევაში, დამტკიცებულია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობა.

დავუშვათ, რომ ρ_0 და c_v სიდიდეები მუდმივებია. განვიხილოთ $a(S)$ და $\rho(\theta)$ ფუნქციების მაგალითები [25], [32] (ქვემოთ მოყვანილ ოთხივე მაგალითში c_0 და c_1 სიდიდეები აღნიშნავენ დადებით მუდმივებს).

თუ $\rho(\theta)=\theta^{\alpha}$, $\alpha>1$, მაშინ $a(S)=c_1(c_0-S)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$. ამრიგად, $\rho(\theta)$ წინაღობის ხარისხოვან ზრდას მივყავართ მხოლოდ სასრულ შუალედზე განსაზღვრულ $a(S)$ კოეფიციენტამდე. შევნიშნოთ, რომ ფიზიკურ ნივთიერებას ასეთი თვისება არ გააჩნია.

თუ $\rho(\theta)=\theta$, მაშინ $a(S)=c_1e^{c_0S}$. აქედან ჩანს, რომ წრფივი ზრდა გვაძლევს მაჩვენებლიან $a(S)$ ფუნქციას. ტემპერატურის ზრდისას წინაღობის წრფივი ზრდა დამახასიათებელია მეტალებისთვის.

თუ $\rho(\theta)=\theta^{\alpha}$, $0<\alpha<1$, მაშინ $a(S)=c_1(c_0+S)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$ და $\rho(\theta)$ ფუნქციის ზრდა გვაძლევს $a(S)$ კოეფიციენტის ხარისხოვან ზრდას.

თუ $\rho(\theta)=\theta^{-\alpha}$, $\alpha>0$, მაშინ $a(S)=c_1(c_0+S)^{-\frac{\alpha}{1+\alpha}}$. მაშასადამე, კლებადი $\rho(\theta)$ ფუნქციიდან ვღებულობთ კლებად $a(S)$ ფუნქციას. ეს არის ზოგადი ფაქტი, თუ ρ_0 და c_v სიდიდეები მუდმივებია. მართლაც, დავუშვათ, რომ როცა $\theta\geq\theta_0$, მაშინ $\rho(\theta)$ ფუნქცია დიფერენცირებადია, მაშინ განსაზღვრების თანახმად

$$\frac{da}{dS}=\frac{c^2}{4\pi}\frac{d\rho}{d\theta}\frac{d\theta}{dS}=\frac{c^2\,d\rho/d\theta}{4\pi\,dS/d\theta}=\frac{c^2}{4\pi\rho c_v}\rho(\theta)\rho'(\theta).$$

აქედან ნათლად ჩანს, რომ $a(S)$ ფუნქცია იზრდება და კლებლებულობს $\rho(\theta)$ ფუნქციასთან ერთად. აღვნიშნოთ, რომ $\rho(\theta)$ წინაღობის შემცირება ტემპერატურის ზრდასთან ერთად

დამახასიათებელია ნახევარგამტარებისთვის მყარ ფაზაში, გაზებისთვის და აგრეთვე პლაზმისთვის, რომლისთვისაც, როგორც უკვე პირველ პარაგრაფში აღინიშნა, გვაქვს $\rho(\theta)=K\theta^{-3/2}$.

ახლა გადავიდეთ გასაშუალებული მოდელის მიღებაზე, რომელიც კვლავ აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გავრცელებას გარემოში [25].

ჯოულ-ლენცის (2.6) კანონი წარმოადგენს სითბოს გამოყოფის [36, გვ.334] ლოკალურ კანონს

$$dQ=\int_{\Omega} JEdxdt. \tag{2.9}$$

აქ dQ – სითბური ენერგიის ნაკადია დროის dt შუალედში, სხეულის მთელ მოცულობაში, რომელიც უკავია $\Omega\subset R^3$ არეს. ჯოულ-ლენცის კანონი არ ითვალისწინებს სითბოს გადაცემის პროცესს სხეულის შიგნით. ეს კი სამართლიანია, თუ ჩავთვლით ტემპერატურას მუდმივს სხეულის გასწვრივ, ე.ი. დამოკიდებულს დროზე, მაგრამ დამოუკიდებელს სივრცითი ცვლადებისგან. ამრიგად, ამ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ $\theta=\theta(t)$. ამ დაშვებაში $dQ=mc_v d\theta$, სადაც m – ნივთიერების მასაა, მაშინ (2.9) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$mc_v(\theta)\frac{d\theta}{dt}=\int_{\Omega} JEdx.$$

ომის კანონის გამოყენებით $E=\rho(\theta)J$, და გამორიცხვის მეთოდის გამეორებით, ვღებულობთ (2.7) სისტემის შემდეგნაირ ანალოგს

$$\frac{\partial W}{\partial t}+rot\left[a\left(\frac{1}{|\Omega|}\int_0^t\int_{\Omega}|rot\,W|^2\,dxd\tau\right)rot\,W\right]=0,$$

$$divW=0.$$

აქ $|\Omega|$ ნივთიერების მოცულობაა. Ω არის მიხედვით გასაშუალების გამო ამ განტოლების $a(S)$ კოეფიციენტი დამოკიდებულია მხოლოდ t ცვლადზე და ამიტომ იგი შეგვიძლია შემდეგნაირად გადავწეროთ

$$\frac{\partial W}{\partial t} - a\left(\frac{1}{|\Omega|}\int_0^t\int_\Omega |rot\, W|^2\, dxd\tau\right) rot\, rot\, W = 0. \tag{2.10}$$

ბრტყელი ველისთვის $W = W(0,U,V)$, სადაც $U = U(x,t)$ და $V = V(x,t)$ ერთი სივრცული ცვლადის ფუნქციებია, (2.10) ვექტორული ტოლობიდან მივიღებთ შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned}
&\frac{\partial U}{\partial t} - a\left(\int_0^t\int_\Omega\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 U}{\partial x^2} = 0,\\
&\frac{\partial V}{\partial t} - a\left(\int_0^t\int_\Omega\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right]dxd\tau\right)\frac{\partial^2 V}{\partial x^2} = 0,
\end{aligned} \tag{2.11}$$

სადაც $\Omega = [0,1]$.

ზემოთ მიღებული (2.10), (2.11) განტოლებების გამოკვლევა, როგორც ეს [25] შრომაშია აღნიშნული, რთულია და მოითხოვს დამოუკიდებელ შესწავლას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, (2.7) და (2.10) განტოლებებში არ არის გათვალისწინებული მრავალი ფიზიკური ეფექტი. ამოცანის უფრო ზოგადად დასმისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ნივთიერების სითბოგამტარობის გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ჯოულ-ლენცის კანონში გაჩნდება დამატებით შესაკრები, რომელიც ითვალისწინებს სითბოგამტარობის პროცესს და იგი მიიღებს შემდეგ სახეს

$$\rho_0 c_v \frac{\partial \theta}{\partial t} = \rho J^2 + \nabla(\chi \nabla \theta),$$

სადაც χ – სითბოგამტარობის კოეფიციენტია, რომელიც საზოგადოდ, აგრეთვე დამოკიდებულია ტემპერატურაზე.

§3. ამონახსნის წრფივი და გლობალური მდგრადობის შესახებ

ამ პარაგრაფში შეისწავლება წინა პარაგრაფებში განხილული სისტემების ზოგიერთი თავისებურება, მათ შორის სტაციონარელი ამონახსნების წრფივი და გლობალური მდგრადობის საკითხები.

მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი განტოლებათა სისტემა:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(P(S)\frac{\partial U}{\partial x} \right),$$

$$\frac{\partial V}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(P(S)\frac{\partial V}{\partial x} \right), \tag{3.1}$$

$$\frac{\partial S}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(Q(S)\frac{\partial S}{\partial x} \right) + F\left(S, \frac{\partial U}{\partial x}, \frac{\partial V}{\partial x} \right),$$

სადაც P, Q და F – თავიანთი არგუმენტების ცნობილი ფუნქციებია.

მრავალი დიფუზიური ამოცანის მათემატიკურ მოდელირებისას ვღებულობთ (3.1) სახის სისტემას. კერძოდ, თუ

$$Q(S) = 0,$$

$$F\left(S, \frac{\partial U}{\partial x}, \frac{\partial V}{\partial x} \right) = G(S)\left[\left(\frac{\partial U}{\partial x} \right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x} \right)^2 \right],$$

სადაც G მოცემული ფუნქციაა, მაშინ (3.1) სისტემა, როგორც უკვე პირველ ორ პარაგრაფში ვნახეთ, აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესს ისეთ გარემოში, რომლის ელექტროგამტარობის კოეფიციენტიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე.

თუ

$$Q(S)\neq 0,$$

$$F\left(S,\frac{\partial U}{\partial x},\frac{\partial V}{\partial x}\right)=-T(S)+R(S)\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right], \tag{3.2}$$

სადაც T ასევე მოცემული ფუნქციაა, მაშინ (3.1), (3.2) სისტემით აღიწერება იგივე პროცესი, ოღონდ ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სითბოგამტარობის ეფექტი.

განვიხილოთ შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა:

$$\frac{\partial U}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(S^{\alpha}\frac{\partial U}{\partial x}\right),\quad \frac{\partial V}{\partial t}=\frac{\partial}{\partial x}\left(S^{\alpha}\frac{\partial V}{\partial x}\right),$$

$$\frac{\partial S}{\partial t}=S^{\alpha}\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right], \tag{3.3}$$

$$U(0,t)=V(0,t)=0,$$

$$U(1,t)=\psi_1,\quad V(1,t)=\psi_2, \tag{3.4}$$

$$U(x,0)=U_0(x),\quad V(x,0)=V_0(x),\quad S(x,0)=S_0(x)>0, \tag{3.5}$$

სადაც ψ_1 და ψ_2 დადებითი მუდმივები, ხოლო $U_0(x), V_0(x), S_0(x)$ – კი მოცემული ფუნქციებია.

ადვილი შესამოწმებელია, რომ თუ $U_0(x)=\psi_1 x, V_0(x)=\psi_2 x$ და $S_0(x)=S_0$, მაშინ, როცა $\alpha\neq 1$ (3.3) - (3.5) ამოცანის ამონახსნს აქვს შემდეგი სახე:

$$U(x,t)=\psi_1 x,\quad V(x,t)=\psi_2 x,$$

$$S(x,t)=\left[S_0^{1-\alpha}+(1-\alpha)(\psi_1^2+\psi_2^2)t\right]^{\frac{1}{1-\alpha}}. \tag{3.6}$$

როგორც (3.6) ფორმულებიდან ჩანს დროის სასრული $t_0 = S_0^{1-\alpha}/(\psi_1^2 + \psi_2^2)(\alpha - 1)$ მომენტისთვის, როცა $\alpha > 1$, $S(x,t)$ ფუნქცია შემოუსაზღვრელია.

განხილული მაგალითი გვიჩვენებს, რომ საკმაოდ გლუვი საწყის-სასაზღვრო ფუნქციების შემთხვევაში (3.3) - (3.5) ამოცანას საზოგადოდ გლობალური ამონახსნი არ გააჩნია.

აღნიშნული ამოცანების გარკვეული კლასებისთვის ამონახსნების არსებობის თეორემები შესწავლილია [8, 10] შრომებში.

შევნიშნოთ, რომ თუ (3.4), (3.5) პირობებს მივუერთებთ შემდეგ სასაზღვრო პირობებს

$$\left.\frac{\partial S}{\partial x}\right|_{x=0} = \left.\frac{\partial S}{\partial x}\right|_{x=1} = 0, \tag{3.7}$$

მაშინ (3.6) ფორმულებით განსაზღვრული U, V და S ფუნქციები წარმოადგენენ შემდეგი სისტემის ამონახსნებსაც

$$\begin{gathered} \frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(S^\alpha \frac{\partial U}{\partial x}\right), \quad \frac{\partial V}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x}\left(S^\alpha \frac{\partial V}{\partial x}\right), \\ \frac{\partial S}{\partial t} = S^\alpha\left[\left(\frac{\partial U}{\partial x}\right)^2 + \left(\frac{\partial V}{\partial x}\right)^2\right] + \frac{\partial^2 S}{\partial x^2}, \end{gathered} \tag{3.8}$$

(3.4), (3.5), (3.7) საწყის-სასაზღვრო პირობებით.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ როცა $\alpha > 1$, მაშინ საზოგადოდ არც (3.4), (3.5), (3.7), (3.8) ამოცანას გააჩნია გლობალური ამონახსნი.

გადავიდეთ სტაციონარული ამონახსნის წრფივი და გლობალური მდგრადობის საკითხების შესწავლაზე.

